პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 83 (13765) | შაბათი, 8 აპრილი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა!

ორ თვეზე ცოტა ნაკლები დრო რჩება სკოლებში მეცადინეობის დამთავრებამდე. სირთულისა და მნიშვნელობის მხრივ ძნელია განასხვავო ერთმანეთისაგან სასწავლო წლის სხვადასხვა პერიოდები — მეცნიერების სწავლებაში გადამწყვეტია ყოველი დღეც კი. მაგრამ პერიოდი, რომელიც დარჩენილ ორ თვეს მოიცავს, შაინც განსაკუთრებულია. ეს გახლავთ ბოლო — მეოთხე მეოთხედი ჩვენი სკოლების სასწავლო წლისა.

სკოლის უმთავრესი ამოცანაა მისცეს მოსწავლეს მეცნიერების საფუძვლების ჭკვიდრი ცოდნა. მუშაობის ყველა დანარჩენი მხარე მხოლოდ ამ მთავარი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება.

მომავლის მშენებელი თაობა ღირსეულად რომ აღვზარდოთ, საჭიროა მისი შეიარაღება ცოდნით. როგორც მთელი სასწავლო წელი მისი დაწყების პირველივე დღიდან, ასევე ეს აპრილი და მომავალი მაისიც უნდა მოვახმაროთ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს წარმატებით ამოწურვას.

გაკვლილი მასალების გამეორება, ბავშვების მომზადება შემაჯამებელი საკონტროლო სამუშაობისათვის, მომავალი გამოცდებისათვის იმ კლასებში, სადაც ახინი ტარდება, მოსწავლეთა ატესტაცია, მოსწავლეთა გამოცდებზე დაშვების, კლასიდან კლასში გადაყვანის საკითხების გადაწყვეტა, — ეს და მრავალი სხვა დიდი და მნიშვნელოვანი საქმე აქვთ ჩვენს სკოლებს ამ ახლო პერიოდში. ერთი სიტყვით, დრო ცოტა რჩება, საქმე კი ბევრია გასაკეთებელი.

აი რატომ გამოვყავით განსაკუთრებით მეოთხე მეოთხედი სასკოლო მუშაობის სხვა პერიოდებისაგან. ეს არა მარტო მოსწავლეთა, არამედ მთელი სასკოლო კოლექტივის გამოცდებია, მთელი სასწავლო წლის შეჯამებაა. მაგრამ აპრილ-მაისი ისე არავის არა სცდის, როგორც მასწავლებელს.

მასწავლებელი სახელმწიფოს, ხალხის ინტერესების პირდაპირი გამტარებელია სკოლაში, იგი, თუ შეიძლება ითქვას, კეთილშობილი შუამავალია ცხოვრებასა და ბავშვს შორის. ცოდნის შეძენის გზაზე არავინ ისე ახლოს არა დგას ბავშვებთან, როგორც მასწავლებელი. და არა მარტო ახლოს დგას, იგი ბავშვის სულსა და გულში უნდა იყოს.

ახლა მასწავლებლისათვის ყოველი დღე, ყოველი საათიც კი მიზანსწრაფული, რომ იტყვიან, ასჯერ აწონილ-დაწონილი. მტკიცედ დაგეგმილი უნდა იყოს, კლასის ხელმძღვანელთან ერთად, ცხადია, მშობელთან შემოქმედებითი თანამეგობრობით, მასწავლებელმა უნდა შეძლოს იმ საშუალებათა გამონახვა, რომლებითაც დეხმარება მოსწავლეს, კერძოდ, სუსტს, გამოვიდეს ცოდნის ნათელ გზაზე.

შემოწმებამ ნათელყო მასწავლებლის სწორედ ასეთი მუშაობის მაღალეფექტურობა რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში. აქ შეიძლება დავასახელოთ ქალაქ სამტრედიის მეორე საშუალო სკოლა, რომელსაც საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული. მასწავლებელი ქეთევან სტურუა უდგას სათავეში. თითქმის ყველა საგანში, ყველა კლასში, განსაკუთრებით დამამთავრებელ — მე-8 და მე-10 კლასებში სკოლის პედკოლექტივმა მოსწავლეთა ფრიად მკვიდრ, საფუძვლიან ცოდნას მიაღწია. ცხადია, სკოლა ამას ვერ შეძლებდა, საგნების მასწავლებლებს პედაგოგიური შრომის მთელი არსენალი, და მათ შორის — ყოველი მოსწავლისადმი ინდივიდუალური, ფსიქოლოგიური მიდგომის მეთოდი რომ არ მოემარჯვებინათ. მოსწავლეები მკვიდრ ცოდნას ამყღავნებენ მათემატიკაში (მასწავლებელი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ე. დუნდუა), ფიზიკაში (მასწავლებელი ლ. ჯავკანიძე), ქიმიაში (მასწავლებელი ა. სულავა), ისტორიასა და ბაზოგადოებათმცოდნეობაში (მასწავლებელი თ. შენგელია), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ე. კანდელაკი), გეოგრაფიაში (მასწავლებელი ო. ჯავახიშვილი). ამ სკოლის პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, პიონერული ორგანიზაცია, მშობელთა კოლექტივი მხარში უდგანან პედაგოგიურ კოლექტივს. ყველი პედაგოგიური ღონისძიება — მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას! — ასეთია ამ სკოლის კოლექტივის დევიზი, და ეს სიტყვაც საქმით მართლდება.

განსაკუთრებული ყურადღებითა და პედაგოგთა მშობლიური სიყვარულით არიან გარემოსილი ჩვენი პატარები — დაწყებითი კლასების მოსწავლეები. აქ ხომ საფუძველი ეყრება მომავლის ადამიანის ჩამოყალიბებას, ბავშვებს აქ ეხსნებათ გონება, აქ პირველად ეზიარებიან სისტემატიზებულ ცოდნას. ოც წელზე მეტია ნ. ნიკოლაიშვილი დიდი ოქტომბრის ენას — რუსულ ენას ასწავლის თბილისის 57-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ა. კორახაშვილი) მე-2 კლასებს. იგი სულსა და გულში სწვდება თვითეულ ბავშვს, ისინი ეიყვარულითვე უპასუხებენ ნუნუ მასწავლებელს. განსაცვიფრებლად ემხგავსება ამ პედაგოგის კალიგრაფია წერის სანიმუშო „დედანს", და ბავშვებიც ცდილობენ მიბაძონ წერაში მასწავლებელს. ამან განაპირობა საგანში ბავშვთა ცოდნის მაღალი დონე. ცხადია, მსგავსი კარგი მასწავლებელი ასობით გვყავს რესპუბლიკაში და ისინი ქების ღირსი არიან.

განა პედაგოგ-მასწავლებელთა შეუპოვარი და ბეჯითი შრომით არ მიაღწიეს ორწლიანობის აღკვეთას დედაქალაქს 77-ე (დირექტორი გ. კობახიძე) და 88-ე (დირექტორი ი. გიორგაძე) სკოლებმა? ამ სასწავლო წელს წარმატებით ამთავრებენ ქ. ფოთის 1-ლი საშუალო (დირექტორი საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ნ. ქოიავა), ქ. გორის 1-ლი საშუალო (დირექტორი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ვ. ჩიგოგიძე), თბილისის 37-ე რუსული საშუალო (დირექტორი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ე. გეგიაძე) და სხვა სკოლები.

სასკოლო კოლექტივების ენერგიულ და ბეჯით შრომაზე მეტყველებს ისიც, რომ ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა გამოსავლინებელი ტური, აგრეთვე ის, რომ სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში — თბილისში მოეწყობა მოსწავლეთა საკავშირო ტური მათემატიკაში (15-დან 28 აპრილამდე).

სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა! — დიდი ლენინის ეს ანდერძი ჩვენი სკოლის, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის გზის მანათობელია. ჩვენი სახელმწიფოს, ხიბჭოთა ხალხის, პარტიისა და მთავრობის მშობლიური ზრუნვა, ნორჩი თაობისათვის ამ ლენინური დევიზით არის გამთბარი.

ახლა სასკოლო მუშაობის ოდნავი შენელებაც კი ზიანს მოუტანს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას. დარჩენილი მოკლე დრო ფრიად ეფექტური და ნაყოფიერი უნდა გახდეს თვითეული სკოლისთვის, თვითეული კლასისთვის. სკოლებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა უნდა გაითვალისწინონ შარშანდელი არასასიამოვნო გაკვეთილები, ის, რომ გეოგრაფიკორის, წყალტუბოს და ბევრი სხვა რაიონის მთელი რიგი სკოლების მედალოსნებმა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ვერ გაამართლეს თავიანთი საპატიო ჯილდო, ვერ გამოამჟღავნეს ღირსეული ცოდნა. სამწუხაროდ, წელსაც, შემოწმებით, არასახარბიელო სურათია ამ რაიონების მთელ რიგ სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის დონის მხრივ.

მთელი ხაბჭოთა ხალხი ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. საქართველოს მშრომელები ამ დიადი თარიღისათვის მზადებაში ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ სოფლად და ქალაქად, კულტურის ფრონტზე. ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამაც მეცნიერების საფუძვლების დაუფლების გზაზე ბეჯითი სწავლით, შეუპოვარი შრომით უნდა გაუხაროს გული ხალხს, სამშობლოს.

საიუბილეო ვახტზე

საქართველოს კოოპერატორთა წარმატება

ამას წინათ საქართველოს კოოპერატორებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია გასული წლის მეოთხე კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული შედეგებისათვის.

რესპუბლიკის კოოპერატორებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს. ემზადებიან რა საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის და ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, მათ შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციათა საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა 101,1 პროცენტით. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამატის რეალიზაციის დავალება 109,8 პროცენტით შესრულდა.

გადაჭარბებით არის რეალიზებული აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმები. მაგალითად, კვერცხის დამზადების გეგმა შესრულდა 111 პროცენტით, მსხვილი ტყავისა — 128,4 პროცენტით, წვრილი ტყავისა — 115,7 პროცენტით, ბეწვეულისა — 134,1 პროცენტით.

წარმატებით იშრომა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ტრესტ „საქკოოპმშენის" კოლექტივმაც, რომელმაც 103,7 პროცენტით შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა. ამასთანავე რეალიზებულია ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებაც. (საქდესი).

სიახლე შახტში

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტში ამ დღეებში გაიხსნა ახალი პავილიონი. მიწისქვეშა ჰორიზონტებზე სამუშაოდ მიმავალ მეშახტეებს აქ უფასოდ ეძლევათ უავა და ჩაი.

ამ ხიახლის დანერგვამ დიდად შეუწყო ხელი მუშების შრომისუნარიანობას.

ახალ კორპუსებში

ცხინვალი. (საკ. კორ.). ცხინვალის მექანიკური ქარხანა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ოლქში. ქარხანამ გასული წლის საწარმოო გეგმა თითქმის ყველა სახეობაში გადაჭარბებით გაანაღდა. მაგრამ ქარხნის ძირითადი საამქრო, სადაც მზადდება ამწის კაბინები, სეიფები, რკინის კარადები, დღემდე უვარგის შენობაში იყო მოთავსებული, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა შრომის ნაყოფიერებაზე.

ახლახან დამთავრდა ამ საამქროს ახალი კორპუსების მშენებლობა. საამქროს კოლექტივი უკვე გადავიდა ახალ შენობაში და მთელი ძალით გაშალა მუშაობა, რათა ღირსეული საჩუქრებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.



საუკეთესო შრომითი მაჩვენებლები მოიპოვა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეორე საამქროს კოლექტივმა. ხუთწლედის მეორე წლის დასაწყისიდან მან გეგმის გადამეტებით გამოუშვა 400 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობი, აგრეთვე დაზოგა რამდენიმე ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

საამქროში ყველაზე კარგ შედეგებს აღწევს მსხმელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელიც მომსახურებას უწევს № 18 ღუმელს. ამ ერთსულოვან კოლექტივს ზურაბ ფერაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურად 2-2,5 ტონა ფეროშენადნობს უშვებს გეგმის გადამეტებით.

• • •

სურათებზე: ზემოთ — № 18 ღუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ) — ბრიგადირი ზურაბ ფერაძე, რევაზ მაჩიტაძე, ნოდარ დიკასოსიძე და თამაზ ბოგვერაძე; ქვემოთ — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 2 საამქროში მორიგი დნობა მიმდინარეობს.

ფოტო გ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

სიმინდის თესვა დაიწყეს

ხობი. („კომუნისტის" კორ.). აპრილის პირველი ხუთდღიურის ბოლო დღეებში გამოიდარა. ახლა თბილი, მზიანი ამინდია. საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა. მხვნელ-მთესველები უკვე შეუდგნენ სიმინდის თესვას. სოფელ პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ალ. როდონაია) ორ დღეში რვა ჰექტარი სიმინდი დათესეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მექანიზატორი ს. ჩუხუა, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 120 პროცენტით ასრულებს.

5 აპრილს სიმინდის თესვას შეუდგნენ სოფელ სახიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები. დათესილია პირველი ათი ჰექტარი. თესვაში მოწინავეა მექანიზატორი გ. ბაბასონია. თესვას შეუდგნენ აგრეთვე ხამისკურის ყადნოვის სახელობის, ხეთის კოლმეურნეობა „კოლხიდის" და სხვა კოლმეურნეობათა მშრომელები. წელს ხობის რაიონში დათესეს 2.000 ჰექტარზე მეტი სამარცვლე სიმინდი.

ხობელმა მხვნელ-მთესველებმა გადაწყვიტეს თესვა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრონ და მიიღონ საიუბილეო წლის უხვი მოსავალი.

გულითადად ულოცავენ

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მე-19 წლისთავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს ფინეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

„საბჭოთა კავშირში, — ნათქვამია ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშაში ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურხო კეკონენისადმი, — კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების დროს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა ნამდვილ მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობად გადაიქცა. უკანასკნელ წლებში ამას მოწმობს მრავალმხრივი ეკონომიური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობის შემდგომი განვითარება, სსრ კავშირისა და ფინეთის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირადი კონტაქტების გაფართოება".

„1949 წლის ხელშეკრულება, — აღნიშნულია ფინეთის პრეზიდენტის უ. კეკონენის დეპეშაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი, — ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების მტკიცე საფუძველი გახდა. ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ურთიერთნდობა, პატივისცემა და ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელი თანამშრომლობა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა შედგება 11 აპრილს დილის 10 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება 1967 წლის 11 აპრილს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი № 10, ტელეფონი 9-08-54 და 9-58-19.

იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი. თათბირზე განხილულ საკითხები იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნები, პარტიის მთელი რიგი სამხარეო, საოლქო, საქალაქო კომიტეტების მდივნები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, ცენტრალური გაზეთების რედაქტორები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის ვ. ფ. შაუროს მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა გ. ა. ბოდანოვმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. დ. სკაბამ, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ნ. ნიშანოვმა, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ლ. კ. შეპეტისმა დამსწრეთ გაუზიარეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით შემოქმედებითს კავშირებთან და ხელოვნების დაწესებულებებთან პარტიული კომიტეტების მუშაობის გამოცდილება.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ს. ალფეროვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. გ. ხაჩატრიანი, სკკპ თათარეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ფ. ვალეევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. მიხაილოვი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ნ. იმაშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე. ნ. მამედოვი, სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ე. ტესლია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. რომანოვი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ა. პილოტოვიჩი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ხ. კალაშნიკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ს. ბ. ტრაპეზნიკოვი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ი. სტეპაკოვი, დ. ა. შევლიაგინი, ა. ს. პანიუშკინი და ცენტრალური კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

დასასრულ თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა.

დუნაის გიგანტი

11 მილიარდ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს ყოველწლიურად დუნაის უდიდესი ჰიდროსადგური „ჟერდაპრეინის კარიბჭე". პროექტის შემუშავებაში იუგოსლავ და რუმინელ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობენ სრულიად საკავშირო ინსტიტუტის „ჰიდროპროექტის" ინჟინრები.

— ეს ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მდინარის სასაზღვრო მონაკვეთშია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ინსტიტუტის უცხოთის ჰიდროსადგურების დაპროექტების განყოფილების უფროსმა ნ. ა. სონიჩევმა, — იაფი ელექტრონერგიით მოამარაგებს ორ მეზობელ ქვეყანას — იუგოსლავიასა და რუმინეთს.

ჩვენი ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეასრულეს იმ ტურბინებისა და გენერატორების ტექნიკური პროექტი, რომლებსაც დაამზადებენ ლენინგრადის სკკპ XXIII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხანა და ხ. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროძალა". ჩვენ უკვე შევასრულეთ დამხმარე ჰიდროტექნიკური და ელექტროტექნიკური მოწყობილობის საპროექტო დავალება. საბჭოთა სპეციალისტები ჰიდროელექტროსადგურის ენერგეტიკული მოწყობილობის დამონტაჟებშიც მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეროვნული ეკონომიკის საბჭოს ინფორმაციული ბიულეტენი

ავტომატური ხაზი ბეტონის ბლოკებისა და ფილებისათვის

ბეტონის ბლოკებისა და ფილების ავტომატური ხაზი ეკონომიურ ეფექტს ეძლევა. ამ ხაზზე ბეტონის ბლოკებისა და ფილების ერთეულ ღირებულებაზე 20 პროცენტამდე ეკონომია ფასდება. ეს ეკონომია

პარტიული მუშაკის ტრიბუნა

პარტიული ინფორმაციის ძალა

დროულად მიწოდებული ინფორმაცია პარტიის თვითეული ორგანოს ნორმალური ცხოვრების აუცილებელი პირობაა. იგი შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, ყველა კომუნისტის თვითმოქმედებისა და აქტივობის ამაღლების, მათი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების უშრეტი წყაროა.

პარტიული ინფორმაცია დიდად ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს სამეურნეო-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში. სწორედ ამიტომ სკკპ წესდებაში ხაზგასმულია, რომ ყველა პარტიული კომიტეტის მოვალეობაა სისტემატურად გაუცვალოთოს ინფორმაცია თავისი მუშაობის შესახებ როგორც ზემდგომ პარტიულ, ისე პირველადს ორგანიზაციებს.

სკკპ წესდების ამ მოთხოვნას მტკიცედ ასრულებს ქობულეთის რაიონის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 2.975 კომუნისტს აერთიანებს.

რაიონული კომიტეტი ყოველი წლის დასაწყისში აწყობს პარტიულ-სამეურნეო აქტივის შეკრებას. ეს ღონისძიება საშუალებას აძლევს პარტიის რაიკომსა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს ინფორმაცია გაუკეთონ მშრომელებს განვლილ სამეურნეო წელსა და გაწეულ მუშაობაზე.

პარტიის XXIII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმებმა პარტიული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიაყარეს უმნიშვნელოვანეს ამოცანას — სოფლის მეურნეობის მკვეთრი ამაღლების მიღწევას მიწის ნაყოფიერების გადიდების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი ზრდის გზით. ამასთან საჭიროა ეს პროდუქცია მიღებულ იქნას შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის ამ მითითებით, ცდილობენ თვითეული მშრომელი დროულად იყოს ინფორმირებული პარტიისა და მთავრობის მიერ მშრომელთა წინაშე დასმული ამოცანების შესახებ.

სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც აგრონომი ი. მოწყობილი ხელმძღვანელობს, რვა ათეულზე მეტ კომუნისტს აერთიანებს. ისინი საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მოღვაწეობენ და სამაგალითო არიან როგორც შრომაში, ისე ყოფაცხოვრებაში. კოლმეურნეობაში არ არის ისეთი კომუნისტი, რომელსაც შრომის საგალდებულო მინიმუმი არ ჰქონდეს გამოშუშავებული. აქაური კომუნისტები ყველა კეთილი საქმის ინიციატორები არიან. ამიტომ კოლმეურნეობა წლების მანძილზე მოწინავეთა რიგებშია. აქ შარშან მოკრიფეს 1.392 ტონა ჩაის ფოთოლი და გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 6.078 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ამ საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ ბობოყვათოს, დაგვის, ქვედა აჭყვის და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

როგორც ცნობილია, ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის დანერგვა პარტიის ორგანიზატორული მუშაობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. დროულად შენიშნო და მხარი დაუჭირო კარგ ინიციატივას, გახადო იგი მასების კუთვნილება — ნიშნავს წინ წასწიო ჩვენი ქვეყნის საერთო საქმე. ჩვენ ვცდილობთ, რომ მშრომელთა ყოველი ახალი თაობა სწრაფად შეუიტყოთ, რათა იგი სათანადო ანალიზის შემდეგ მასების საერთო კუთვნილებად ვაქციოთ.

რაიონის საერთო წარმატებებში თვალსაჩინოა სოფელ ციხისძირის კოლმეურნეობის წვლილი. ციხისძირელმა კომუნისტებმა ანალიზი გაუკეთეს მათ მიერ გაწეული შრომის შედეგებს, გადახედეს გამოუყენებელ რეზერვებს და გადაწყვიტეს ეკისრათ ახალი გადიდებული ვალდებულებები ხუთწლედის სასახელოდ შესრულებისათვის. კომუნისტების აზრი მოეწონათ კოლმეურნეებს, და სასოფლო-სამეურნეო არტელმა შარშან მოწოდებით მიმართა რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოიწონა ციხისძირელთა თაოსნობა და რჩევა მისცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს მხარი დაეჭირათ ამ პატრიოტული წამოწყებისათვის. მალე ციხისძირელთა ინიციატივას გამოეხმაურა ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. რაიონული გაზეთი „ლენინელი" სისტემატურად აცნობდა თავის მკითხველებს შეჯიბრების მიმდინარეობას.

პარტიის რაიკომმა დროულად მიიღო ინფორმაცია აგრეთვე სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ინიციატივის შესახებ. მათ გადაწყვიტეს ფართოდ გააჩაღონ დიდი ოქტომბრის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება, იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებები. ამასთან მოწოდებით მიმართეს რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს.

ინფორმაციის პრაქტიკული საშუალებები ბევრია. ეს არის ზეპირი და წერილობითი ცნობები, მშრომელთა წერილები და განცხადებები, რაიონული კომიტეტის პლენუმების, ბიუროს სხდომების ოქმები და სტენოგრამები, კონფერენციების მასალები, ოფიციალური საუწყებო მასალები, სტატისტიკური მონაცემები, პარტიულ მუშაკთა მოხსენებითი ბარათები და სხვ. პარტიის რაიკომი ყოველივე ამას უკეთებს ანალიზს, განაზოგადებს და საჭირო დასკვნები გამოაკეთებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ინფორმაციის იმ წყაროებიდან, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები იყენებენ, საქმიანი უფრო სრულ, ნათელ წარმოდგენას იძლევა პარტიულ ხელმძღვანელთა პირადი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები. ისინი ხშირად ესაუბრებიან შტატიან და შტატგარეშე ინსტრუქტორებს ამის შესახებ, თუ რა ნახეს ამა თუ იმ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში.

პარტიული კომიტეტების მოღვაწეობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარება, ფართო აქტივის მიზიდვა სხვადასხვა საბჭოებისა და კომისიების საქმიანობაში აძლიერებს პარტიული ორგანიზაციების კავშირს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, კომუნისტებთან, ზრდის ინფორმაციის მიღების საშუალებებს. ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან რაიონულ კომიტეტთან არსებული შტატგარეშე ინსტრუქტორთა ჯგუფი, ვაჭრობის განყოფილება, იდეოლოგიური, პარტიაში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების განმხილველი კომისიები, პოლიტიკური განათლების კაბინეტი, ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციები. ისინი ხელს უწყობენ პარტიული ინფორმაციის სფეროს გაფართოებას და მისი ქმედითობის გაძლიერებას.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა შტატგარეშე მუშაკები ცალკეულ ორგანიზაციებში გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისას აგნებენ ბევრ ახალ, პერსპექტიულ თაოსნობას, გონივრულ წინადადებებსა და მოსაზრებებს ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა სფეროში. შტატგარეშე მუშაკები ამის შესახებ ინფორმაციას აწვდიან რაიონულ კომიტეტს და სერიოზული მსჯელობის საგნად ხდიან ამ მოსაზრებებსა და წინადადებებს. მაგალითად, სოფელ გვარას კოლმეურნეობის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი მოწინავე კოლმეურნეთა წინადადებას ყოველ 1.000 მცხოვრებზე 1.200 ცალი ყურნალ-გაზეთის ბეჭდვითი ეგზემპლარის შესახებ. შტატგარეშე ინსტრუქტორმა ხ. აფხაზავამ ეს კარგ თაოსნობად მიიჩნია და თავის ინფორმაციაში წამოაყენა წინადადება მისი განზოგადების შესახებ. რაიკომის ბიუროომ მხარი დაუჭირა ამ აზრს და რჩევა მისცა შორეულადს პარტიულ ორგანიზაციებს პრესის გავრცელებისას გაეთვალისწინებინათ გვარელთა თაოსნობა. ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო.

პარტიული ინფორმაციის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გამოხმაურებას, რომლითაც ხვდებიან პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტების სიგნალებს, წერილებს, კრებებზე დაყენებულ საკითხებს, კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

რაიონული კომიტეტი განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობს და განიხილავს კომუნისტთა ინფორმაციებში დასმულ საკითხებს, ინტერესს იჩენს იმისადმი, თუ როგორ ეხმაურებიან მათ ნიერ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს.

კვირიკეს საბჭოთა მეურნეობისა და ბობოყვათის ჩაის ფაბრიკის კომუნისტებმა გააკრიტიკეს ქობულეთის გარეუბნის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობა იმის გამო, რომ მის ტერიტორიაზე არსებული სავაჭროები და სასადილოები არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან პროდუქტებით, სასადილოებში ხშირად ამზადებენ ძვირადღირებულ კერძებს, რაც მუშებისათვის ნაკლებ ხელმისაწვდომია, იყიდება მაგარი სასმელები და სხვ. კვირიკეს, ჭახათისა და აჭყვისთვის კოლმეურნეობების კომუნისტებმა გააკრიტიკეს ქობულეთის ავტოსატრანსპორტო კანონრის დირექცია იმისათვის, რომ ამ სოფლებში ფერხდება ავტობუსების მუშაობა, ხოლო ტაქსის მძღოლები კლიენტებს ზედმეტს აბდევინებენ. ხუცუბნის, ბობოყვათისა და ციხისძირის კოლმეურნეობების კომუნისტებმა ამბილეს დამამზადებელი ორგანიზაციები ბოსტნეულის დამზადების საქმეში არსებული შეფერხებებისათვის. მუხანესტატეს, ფიცანა და ნეკადრეოას კომუნისტებმა აღნიშნეს საკოლმეურნეოთაშორისო საბჭოს სუსტი მუშაობა საკოლმეურნეო შენებლობის საქმეში. კომუნისტების ყველა ამ დროულ, საქმიან ინფორმაციას სათანადოდ გამოხმაურა პარტიის რაიონული კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა და განახორციელა საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. დამსახურებული ეძლევა ბობოყვათის ჩაის ფაბრიკის კომუნისტებს, ბობოყვათისა და ციხისძირის კოლმეურნეობების კომუნისტებს, ფიცანა-ნეკადრეოას, ფოთის ბოსტნეულის ბაზის, ფოთის ბაზრის, ფოთის ბაზარ-ბაზრის, ფოთის ბაზარ-ბაზრის, ფოთის ბაზარ-

საერთაშორისო ცხოვრება

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის

მეხიკო, 7 აპრილი. (საკდესი). მექსიკის პროგრესული საზოგადოებრიობა ემზადება საზეიმო ვითარებაში აღნიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ამ ღონისძიებასთან თარიღთან დაკავშირებით მექსიკა-რუსეთის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტი აპრილში გამართავს ლექციების ციკლს. მსმენელთა წინაშე გამოვლენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, ეკონომისტები.

ინსტიტუტის შენობაში მოწყობილია საბჭოთა წიგნებისა და ჟურნალების გამოფენა, აჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს.

მექსიკელები დიდ ინტერესს იჩენენ ლენინისმიტებებისადმი, რომლებიც ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით ხორციელდება.

ქ. პომპიდუ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრია

პარიზი, 6 აპრილი. (საკდესი). ჟორჟ პომპიდუ კვლავ დანიშნეს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად.

შეიქმნა მთავრობის საბჭო

პარიზი, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს ჯიბუტში შეიქმნა საფრანგეთის სომალის მთავრობის საბჭო, რომლის თავმჯდომარეა საფრანგეთის გუბერნატორი ლეი საჟე.

საბჭოში შევიდა 8 ადგილობრივი მცხოვრები — აფარის ეროვნების წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარედ და ამასთანავე ჯიბუტის საზოგადოებრივ სამუშაოთა და ნაესადგურის საქმეთა მინისტრი გახდა აფართა დემოკრატიული გაერთიანების. პარტიის ლიდერი ალი არეფ ბურჰანი. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია აფართა დემოკრატიული პარტიის ლიდერი ამიდ დინი. ორივე ამ მოღვაწემ 19 მარტს რეფერენდუმზე მხარი დაუჭირეს საფრანგეთის სომალის წინანდელი სტატუსის შენარჩუნებასა და მჭიდრო კავშირს საფრანგეთთან.

მეგობროობისა და ძმობის ხელშეკრულება

სოფია, 6 აპრილი. (საკდესი). ბულგარეთ-პოლონეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებაში, რომელიც დღეს დადო, ხაზგასმულია, რომ ორივე ქვეყანა სოციალისტური ინტერნაციონალის პრინციპების შესაბამისად კვლავაც განამტკიცებს ორი სახელმწიფოს ხალხთა მრავალი წლის ურღვევ მეგობრობას, გააკეთებენ ყოველმხრივ თანამშრომლობას და დახმარებას გაუწევენ ერთმანეთს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთ სუვერენიტეტის პატივისცემის და მეორე ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, აღნიშნულია ხელშეკრულებაში, კვლავაც იხმარენ ღონისძიებებს, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ძალებისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის, თანმიმდევრულად განახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად ისინი განაგრძობენ ღონისძიებებს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევისათვის. ყოფული ფორმის კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის. ისინი ერთობლივად ისწრაფვიან უზრუნველყონ ევროპის მშვიდობა და შექმნან ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემა.

ვარშავის 1955 წლის 14 მაისის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების თანახმად ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები უზრუნველყოფენ ორი სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობას და იხმარენ ყველა საჭირო ღონისძიებას იმპერიალიზმისა და რევანშიზმის ძალების აგრესიის თავიდან აცილებისათვის.

თუ რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი თავს დაესხა ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეს, ნათქვამია ხელშეკრულების ტექსტში, მეორე მხარე, თანახმად ვარშავის 1955 წლის 14 მაისის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, დაუყოვნებლივ გაუწევს მას ყოველგვარ დახმარებას. კერძოდ, სამხედრო დახმარებას, და მხარს დაუჭერს თავის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით.

ამ პუნქტის საფუძველზე მიღებულ ღონისძიებებს ორივე მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს უშიშროების საბჭოს და იმოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამის დებულებათა თანახმად.

ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს ყველა საერთაშორისო საკითხში, რომლებიც მათ ინტერესს შეეხება.

ხელშეკრულება დადებულია 20 წლის ვადით და ყოველთვის ხუთი წლით უნდა გაუგრძელდეს ვადა, თუ არც ერთი მხარე არ მოახდენს დემონსტრაციას 12 თვით ადრე შესაბამისი ვადის გასვლამდე.

დემონსტრანტები ვიზიტიორის ნინააღმდეგ

პარიზი, 7 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი გვაცყობინებს:

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული სავიეტნამო პოლიტიკის საწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგებითა და დემონსტრაციებით შეხვდნენ ფრანგები ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს ჰუბერტ ჰემფრის, რომელიც დღეს ჩამოვიდა პარიზში.

ჰ. ჰემფრიმ მოიმზადა საკმაოდ გადატვირთული მოლაპარაკების პროგრამა, რომელშიც შედის საუბარი პრეზიდენტ დე გოლთან, შეხვედრები საფრანგეთის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

სამაგიეროს ვინ უხდის ჟურნალს?

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). წუხელ ჟურნალ „რემპარტისს“ შენობის თავს დაესხნენ. თავდასხმა მოხდა იმასთან დაკავშირებით, რომ ჟურნალმა ამხელა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კავშირი სტუდენტთა ორგანიზაციებთან. უცნობმა პირებმა, განაცხადა ჟურნალის გამომცემელმა ედვარდ კიტინგმა, თან წაიღეს უკანასკნელი ათი წლის საბანკო დოკუმენტები, კიტინგის პირადი დოსიე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის მკვლელობის შესახებ და სხვა მასალები.

ანტიამერიკული დემონსტრაცია დელიში

დელი, 7 აპრილი. (საკდესი). გუშინ დელიში ამერიკის საინფორმაციო სამსახურის შენობის წინ გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ერევა ინდოთის საშინაო საქმეებში. დემონსტრაციის მონაწილეებს მიჰქონდათ ტრანსპარანტები ლოზუნგებით: „გავასახლოთ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები ინდოეთიდან!“, „იანკებო, წადითრეთ!“, „ჩვენი ქვეყანა არ იყიდება!“.

დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდენტის კომიტეტის წევრი დივან ჩამან ლალი და ინდოეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი არუნა ასაფ ალი, რომლებმაც მოითხოვეს ინდოეთიდან ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ ყველა წევრისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტების გასახლება.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელს გადაეცა მემორანდუმი, რომელიც ამ მოთხოვნებს შეიცავდა.

დემონსტრაცია მოაწყვეს დელის მშვიდობის საბჭომ და აფრიკა-აზიის სოლიდარობის ასოციაციის ადგილობრივმა განყოფილებამ.

მტკიცე პროტესტი

ლონდონი, 7 აპრილი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მისია დღეს ადენიდან გაემგზავრა, იუწყება რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი. გაფრენის წინ მისიის მეთაურმა პერეს გერერომ მტკიცე პროტესტი განუცხადა ინგლისის ხელისუფალთ, რომლებმაც, თქვა მან, „არ ითანამშრომლეს მისიასთან“.

ინგლისის ხელისუფლებამ მისიის მეთაურს უფლება არ მისცეს გამოსულიყო რადიოთი და ტელევიზიით და ძალადურად ამოიღეს პროგრამიდან ვიდეოფირი, რომელზედაც ჩაწერილი იყო მისიის მეთაურის გამოსვლის ტექსტი.

ნსრ კავშირის დახმარებით

ავლანეთის დედაქალაქ ქაბულში საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება ორი მიკრორაიონი. ყოფილ უშენ ადგილზე აიგება 22 საცხოვრებელი სახლი 800 პირით, სკოლები, საბავშვო ბაღები, მაღაზიები, კაფეები.

სურათზე ქვემოთ — ახალი საცხოვრებელი სახლები ქაბულში.

• • •

ცეილონი. პირველი პროდუქცია გამოუშვა თოხების მწარმოებელმა ნაკადურმა ხაზმა, რომელიც ცეილონს საბჭოთა კავშირმა მიაწოდა. ხაზი წელიწადში გამოუშვებს ცეილონისათვის დიდმნიშვნელოვან 400 ათასამდე ცალ ამ სასოფლო-სამეურნეო იარაღს.

მრავალი წლის განმავლობაში ცეილონი იძულებული იყო ინგლისიდან შემოეტანა თოხები და ამაზე მილიონობით რუპიას ხარჯავდა.

საპროექტო სიმძლავრის მიღწევის შემდეგ საწარმო მთლიანად დააკმაყოფილებს ცეილონის მოთხოვნილებას ამ სახის პროდუქციაზე.

სურათზე მარჯვნივ — ცეილონის ლითონის ნაწარმის კორპორაციის ახალი თოხები.

ფოტო ა. სტუჟინისა და ო. პლეშოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა)

ყველა ბილეთი გაყიდულია

ტოკიო, 7 აპრილი. (საკდესი). ათიოდე დღე რჩება იმ დრომდე, როცა ტურბოხტახნიანი გიგანტის „ტუ-114“-ის გაფრენით დაიწყება პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა სსრ კავშირისა და იაპონიის დედაქალაქებს შორის. ბილეთები კი ამ ავიახაზზე მდლიანად გაყიდულია ივნისის დამლევამდე. გარდა ამისა, იაპონიის ავიაკამპანიის „ნიპონ კოკუს“ მონაცემების თანახმად, მიღებულია მრავალი შეკვეთა ბილეთებზე მოსკოვამდე ივლისისა და აგვისტოსათვის. ახალი ხაზის პირველ მგზავრებს შორის იქნებიან ტურისტები, საქმიანი ადამიანები, რომლებიც საბჭოთა კავშირში თუ ევროპაში მიემგზავრებიან. ისინი ამ მოგზაურობისათვის დახარჯავენ გაცილებით ნაკლებ დროსა და სახსრებს იმასთან შედარებით, როცა უნდა გადაფრენილიყვნენ ჩრდილოეთ პოლუსისა და სამხრეთის გზების გავლით.

შეთანხმება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შესახებ დაიდო გასული წლის დამდეგს მოსკოვში. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა ერთი თვის წინათ. 8 ათას კილომეტრ მანძილს მოსკოვსა და ტოკიოს შორის „ტუ-114“ თვითმფრინავები, რომლებიც ერთობლივად დაიქირავეს „აეროფლოტმა“ და „ნიპონ კოკუმ“, დაუჭდომლად დაფარავს დაახლოებით 11 საათში. თვითმფრინავებს ატარებს საბჭოთა ეკიპაჟები. მგზავრებს მოემსახურება შერეული პერსონალი.

პირველი თვითმფრინავი ტოკიოში ჩამოვა 18 აპრილს. ორი დღის შემდეგ გაფრინდება მოსკოვში. რეისები ყოველკვირეული იქნება.

პოლიტიკური ვითარება საბერძნეთში

ათენი, 6 აპრილი. საკდესის ქის მუნიციპალურმა საბჭოებმა. კორესპონდენტი ა. სიომინი გვატყობინებს: „ანელოპულოსის მთავრობის შექმნის შემდეგ საბერძნეთში კვლავ დაძაბულია პოლიტიკური ვითარება. გუშინ ათენში, სალონიკში, პატრასსა და სხვა ქალაქებში გრძელდებოდა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები იმის წინააღმდეგ, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ეროვნული რადიკალური კავშირის მთავრობა.

პროტესტი განაცხადეს ბევრმა პროფკავშირულმა, ახალგაზრდობისა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, ზოგიერთი ქალაქის მუნიციპალურმა საბჭოებმა. ასეთი გამოსვლები დღესაც გრძელდება.

დემოკრატიული საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს მთავრობის განზრახვა „უხეში კურსი“ განახორციელოს კრებებისა და მიტინგების თავისუფლების წინააღმდეგ, აგრეთვე მუქარა, რომ „ულმობლად ჩაახშობს ყოველგვარ აჯეულობას“.

შემარცხენე პრესა და ცენტრის გაზეთები კვლავ მკაცრად აკრიტიკებენ მეფის მოქმედებას კანელოპულოსისათვის მანდატის გადაცემასთან დაკავშირებით.

„გავწყვიტოთ ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან“

სტოკჰოლმი, 7 აპრილი. (საკდესი): სტოკჰოლმელებმა, რომლებიც დღეს დილით სამუშაოზე მიიჩქაროდნენ დედაქალაქის ცენტრალური ქუჩებით, ადმინისტრაციული და ბანკების შენობათა კედლებზე დაინახეს მსხვილი ასოებით დაწერილი სიტყვები: „გავწყვიტოთ ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან“.

ასეთივე ლოზუნგები იყო კონცერნ „ფილიპსის“ შენობაზე სტოკჰოლმის აღმოსავლეთ გარეუბანში.

ფრეი გასპარზე მდებარე საცხლის საიდუმლოება

ოამსი ოჯახიანად იგი დიდხანს ცხოვრობდა სან-პაულუს ერთ-ერთ ფეშენებელურ რაიონ ბრუკლინში, ჰქონდა საკუთარი სახლი ფრეი გასპარის ქუჩაზე, 377. ეკავა მოსამსახურის პატარა თანამდებობა დასავლეთგერმანულ ფირმა „ფოლკსვაგენის“ საავტომობილო ქარხანაში, რომელიც უდიდესია ბრაზილიაში. მისი ცოლი ტერეზა მდივნად მუშაობდა კონცერნ „მერსედეს-ბენცის“ (აგრეთვე გფრ) ადგილობრივ კანტორაში. მეზობლებში ცოლქმარს წესიერი ადამიანების სახელი ჰქონდათ. ცხოვრობის. სიტყვით, სახლის პატრონი „ძალიან სიმპათიური და თავაზიანი კაცი იყო... და ვინ იფიქრებდა, რომ...“

28 თებერვალს ბრაზილიის საიდუმლო პოლიციის აგენტები ფრეი გასპარის ქუჩაზე მდებარე № 377 სახლთან ჩასაფრდნენ. ოთხი საათის განმავლობაში ისინი მოთმინებით ელოდნენ ამ „ძალიან სიმპათიურ და თავაზიან კაცს“. როცა იგი საკუთარი „ფოლკსვაგენით“ თავის სახლთან მივიდა, იგი შეიპყრეს და ხელებზე ბორკილი დაადეს.

ეს ამბავი მეორე დღეს გაზეთებში რომ წაიკითხეს, მეზობლები გაოცდნენ. მათი დიდებინის ნაცნობი ფრანც შტანგლი აღმოჩნდა ყოფილი სს-ელი ოფიცერი, გესტაპოელი. გამოუსწორებელი ნაცისტი, სამხედრო დამნაშავე, რომელსაც ბრაზილ მიუძღვნია 700 ათასი ადამიანის მოსპობაში. ბრაზილიის პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ გადარჩენილ ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა შორის შტანგლის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. დაკითხვისას მან აღიარა, რომ „დროდადრო ბრძანებებს იღებდა თვით ფიურერისაგან“.

...შტანგლი და მისი ცოლი დაიბადნენ და ცხოვრობდნენ ავსტრიაში. ფრაუ ტერეზას ქმარმა პირველი დანაშაული თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა. ფაშისტების მიერ ავსტრიის ოკუპაციისთანავე ებალეგანზრდა ნაციზმი, რომელსაც გულმოდგინედ ჰქონდა წაკითხული როზენბერგის, ჰიტლერის, გებელსის „ბოდვითი „შრომები“, გესტაპოში შედის სამსახურში. მალე იგი მიდის ბერლინში, სადაც გადის სპეციალურ — ჯერჯერობით თეორიულ — „მომზადებას განუკურნებელი სენით შეპყრობილ ადამიანთა ლიკვიდაციის დარგში“, რომლებიც, „მესამე რაიხის“ მეთაურთა აზრით, მხოლოდ ზედმეტი ბარგი ვახდებოდნენ მომავალი „დიდი გერმანიისათვის“. ჯალათობის მეცნიერებათა კურსის დამთავრების შემდეგ დიპლომიან მკვლელს კვლავ ავსტრიაში გზავნიან, რათა თავის თანამემამულეებზე შეამოწმოს ადამიანთა მასობრივი მოსპობის შემუშავებული მეთოდების ეფექტურობა. ავსტრიის დაბა ჰარტეიმის ახლოს შტანგლი აწყობს საკონცენტრაციო ბანაკს და მასთან ქმნის „სკოლას“. იქ იგი უკვე თვითონ ასწავლის სხვებს, როგორ ხოცონ ადამიანები. ფრანცს თავისი ხელქვეითნი პრაქტიკაზე დაყავთ საკონცენტრაციო ბანაკში. პატიმართა მოსპობის „პროგრესული ფორმებს“ საშინელი შედეგი მოსდევს: ხანმოკლე პერიოდში ჰარტეიმში მოსპობილ იქნა 30 ათასზე მეტი პატიმარი.

მაგრამ ჰარტეიმის საკონცენტრაციო ბანაკი აშკარად არ იყო ის ადგილი, სადაც შტანგლის შეეძლო მთლიანად გამოეჩინა მკვლელის ნიჭი. ალბათ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ უფროსები, რომლებმაც წარმატების მქონე ჯალათი პოლონეთში გადაიყვანეს. ნაცისტების მიერ აქ დაგეგმილი სისხლიანი ოპერაციების გაკნენა უფრო მეტად შეესაბამებოდა მის „ნიჭს“. თვითონ შტანგლი გამოტყდა, რომ იგი ერთ ხანს „შუშაობდა“ (ადამიანთა მოკვლა მართლაც მუშაობა იყო მისთვის) ლიუბლინისა და სობიბორის საკონცენტრაციო ბანაკებში, შემდეგ იგი დანიშნეს კომენდანტად ტრებლინკის სიკვდილის ბანაკში. რომელიც სპეციალურად შექმნეს ებრაელი მოსახლეობის მასობრივი მოსპობისათვის. აქ გესტაპოელი 1942 წლის აგვისტოდან 1943 წლის აგვისტომდე მძვინვარებდა. ფაშისტური დილეგების ტყვეთა შორის ტრებლინკის ბანაკი ნამდვილ ჯოჯოხეთად ითვლებოდა. ვინც იქ მოხვდებოდა, განწირული იყო. ამ ბანაკის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში რაღაც სასწაულით მხოლოდ 16 პატიმარი გადარჩა. ყოველდღე გაზის კამერებში რამდენიმე ათას კაცს ხოცავდნენ...

ტრებლინკასა და სობიბორში, „ჰერ კომენდანტის“ უშუალო ხელმძღვანელობით, 700 ათასამდე სრულიად უდანაშაულო ადამიანი გაანადგურეს. მტანგლის სისხლიანი კარიერა 1943 წლის შემდეგაც გრძელდებოდა. ომის დასასრულამდე ჯალათმა კიდევ მოასწრო „ემუშავნა“ ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, ჰოლანდიასა და თვით გერმანიაში...

ქმრის დაპატიმრება რომ შეიტყო, ფრაუ ტერეზამ სცადა უკიდურესი გაკვირვება გამოეხატა. შემდეგ აქტიორული ოსტატობით ალაპყრო ხელები და დაიყვირა (თან ცდილობდა, რომ მის გარშემო შეკრებილ ყველა ჟურნალისტს გაგონოს): „ეს მართალი არ არის! ის ინტელიგენტი, ზრდილი კაცია, დიდი კეთილი გულის პატრონი, და ვერავის ვერ მოკლავდა!“ ფრაუმ განაცხადა, თითქოს არაფერი არ იცის თავისი მეუღლის საქმიანობაზე ომის დროს, რომ მისი მეუღლე თითქოს არაფერს არ სწერდა და არაფერს არ ეუბნებოდა თავისი მუშაობის შესახებ. ამავე დროს კი ცოლქმარმა შტანგლებმა მიატოვეს სახლი და სამი პატარა ბავშვი და საჩქაროდ გაიქცნენ სამშობლოდან რაც შეიძლება შორს — იქ, სადაც მათ შესახებ არაფერი არ იცოდნენ.

ფაშისტური გერმანიის დამობობის შემდეგ შტანგლი სამხედრო ტყვეების ამერიკული ბანაკიდან უცნაურ გარემოებებში დაბრუნდა შინ ლინეცში. მაგრამ დიდხანს როდი დარჩენილა მშობლიურ ჭერქვეშ. ნაცისტმა ჩემოდნები ჩააალაგა და ცოლთან ერთად დამასკოში წავიდა. მაგრამ იქაც ვერ იყო გულდამშვიდებული. 1951 წელს ცოლ-ქმარი ფარულად გაემგზავრა ბრაზილიაში, სადაც ისინი თავდაპირველად დაბინავდნენ ქალაქ სანტოსში, შემდეგ კი გადავიდნენ სან-პაულუში. ბრაზილიაში გამგზავრების წინ მათთვის იშრუნეს ნაციისტმა მეგობრებმა. ფრაუ ტერეზამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ „აქ, ბრაზილიაში, სარეკომენდაციო წერილებით არცთუ ისე ძნელი იყო რიგიანი სამუშაოს შოვნა“. მით უმეტეს, რომ მას და მის ქმარს სახსრები რიდი აკლდათ: საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეებისგან მიტაცებული ქონება ყოფილ კომენდანტს საკმაოდ ჰყოფნიდა გაუჭირვებლად ცხოვრებისათვის.

როგორ მიაგნეს ფრანც შტანგლის კვალს? მისი ზუსტი მისამართი გასთქვა ერთმა ყოფილმა გესტაპოელმა, რომლის გვარს ბრაზილიის პოლიცია ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს. მას ეს კეთილი განზრახვით როდი გაუკეთებია. მოხდა მხოლოდ ის, რომ ერთმა არამშადამ გადაწყვიტა ხელი მოეთბო მეორე არამშადის ჩაგდებით. შტანგლის გაცემაში ამ გესტაპოელმა 25 ათასი დოლარი მოითხოვა. მაგრამ რაკი დაინახა, რომ ასეთი თანხის მიღება საეჭვო იყო, გადაწყვიტა ფასი დაეკლო: „შტანგლს ბრალი მიუძღვის 700 ათასი კაცის მოკვლაში. და ან ჩემი საბოლოო ნიხრი — 10 ცენტი ყოველ მოკლულზე. სულ: 7 ათასი დოლარი“.

ახლა შტანგლი დაპატიმრებულია რესპუბლიკის დედაქალაქ ბრაზილიაში, სადაც იგი სან-პაულუდან ჩაიყვანეს გაძლიერებული დაცვით. უმაღლესმა ფედერალურმა ტრიბუნალმა უსასრულოდ ნება მისცა ბრაზილიის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს „შტანგლის საქმეს“. ამასობაში ჯალათს გამოუჩნენდნენ დამცველები, რომელებსაც სურთ იურიდიული კაზუისტიკაში ჩაახშონ მისი საქმე.

ისინი ამტკიცებენ, თითქოს შტანგლის „არაფერი არ ჩაუდიოდა ბრაზილიის წინააღმდეგ“. იმოწმებენ იმას, რომ ბრაზილიის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მუხლი ნაციზმ სამხედრო დამნაშავეთა დასჯის შესახებ. ამბობენ, კიდევაც რომ წამოიჭრას საკითხი შტანგლის იმ ქვეყნებისათვის გადაცემის შესახებ, სადაც იგი დანაშაულს სჩადიოდა. ბრაზილიას ამ სახელმწიფოებთან შეთანხმებები ხომ არა აქვსო. იგულისხმება უწინარეს ყოვლისა აკსტრია, ვინაიდან მისმა ეკონომიკურმა პროკურორმა ფრანც ბუდამ ამ დღეებში განაცხადა. რომ ავსტრიის იუსტიციის სამინისტრო ბრაზილიის მოსთხოვს შტანგლის გადაცემას. შეძლებს თუ ვერა ნაციისტი დამნაშავე თავის მფარველთა დახმარებით, როგორც 20 წლის წინათ, გაიქცეს მართლმსაჯულების მახვილს? ეს კითხვა აღელვებს ბრაზილიის საზოგადოებრიობასაც, რომელიც მოითხოვს ჰიტლერელი ჯალათის სასტიკად დასჯას.

რიო-დე-ჟანეიროს,

ვინ დაამტვრევს ავტომობილს?

ავტომობილი დიდი ბანია იქცა არა მარტო ტრანსპორტის მოხერხებულ სახედ, არამედ... ბევრი კატასტროფის მიზეზადაც. 1965 წელს ამერიკის შეერთებული შტატების, რომლის წილადაც ავტომობილების მსოფლიო წარმოების 40 პროცენტი მოდის, გზებზე დაიღუპა 49 ათასი, ხოლო მძიმედ დასახიჩრდა 3.5 მილიონი კაცი. ევროპის გზებზე საავტომობილო კატასტროფებმა დაახლოებით 100 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ათასობით მოკლული, მილიონობით დაჭრილი... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ომის წლების სტატისტიკაა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ კატასტროფების დროს ადამიანები ხშირად იღუპებიან მანქანების ტექნიკური არასრულყოფის გამო. ამატომაც უსაშიშრობის პრობლემა თანამედროვე კონსტრუირების უმნიშვნელოვანეს ელემენტად ხდება და მას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მანქანის ფორმას, მის დინამიკასა და დღეგრძელობას. დღის წესრიგში დადგა უსაშიშრო ავტომობილი, რომელიც სერიოზული ავარიების დროსაც გვაძლევს სიცოცხლის გადარჩენის გარანტიას.

მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით. გვთავაზობენ სამუხრუჭე სისტემებს, რომლებიც ავტომობილის გვერდმოქნევის დროს გამორთავენ მიდროსისტემას. იკვლევენ ძარის, საბურავების საიმედოობას, შექმნილია საექსპერიმენტო ნიმუშის მანქანები, რომელთა კარები და ხელსაწყოების ფარი გადაკრულია 60 სანტიმეტრამდე სისქის მოქნილი სინთეზური მასალით, უყველა ბერკეტი, კნოპი დამალულია ფოსოში, საჭე კი იკეცება.

არის კონსტრუქციები, რომლებშიც უძლიერესი დარტყმების დროს ძრავი ჩაიწევს მანქანის ქვეშ, ხოლო მინები მხოლოდ გარეთ ცვივა. ლაპარაკია იმაზე, რომ შეიქმნას ავტომობილი მოქნილი წინა და უკანა ნაწილებით. დაბრკოლებასთან შეჯახების დროს ისინი დეფორმაციას განიცდიან და თავის თავზე მიიღებენ ძირითად დარტყმას, მტკიცე კონსტრუქციისგან დამზადებული სალონი კი უვნებელი რჩება.

თითქოს და კონსტრუქტორების განკარგულებაშია ათასობით მანქანა — ათიდე და შეისწავლე. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა „სუფთა“ ცდა. მანქანის საიმედოობაში რომ დავრწმუნდეთ, კონსტრუქტორმა წინასწარ აუცილებლად უნდა დაამტკიროს იგი. უამისოდ არ გადაწყდება პრობლემა. და ამტკიცენენ კიდეც.

ავტომობილი გამოჩნდა 1885 წელს. მანქანების დამტკიცება კი დაიწყეს მხოლოდ 45 წლის შემდეგ. უკანასკნელ დროს მსოფლიოს წამყვანი საავტომობილო ფირმები „სასაკლაოზე“ უშვებენ წელიწადში ათას მანქანაზე მეტს (ამერიკის შეერთებულ შტატებში — 200 ავტომობილს). „ფიატის“ გამოცდის დროს, მაგალითად, კონსტრუქტორები დაინტერესებული იყვნენ კორპუსის, ლანჟერონების, ტრავერსის, შემოსაფარის, შედუღებისა და დამოკლონვის ადგილების გამძლეობით. ასევე მნიშვნელოვანი იყო დრეკადობისა და ცალკეული კვანძების დეფორმაციის გაგება, ტარანული დარტყმის შემთხვევაში მართვის ორგანოების საშიშროების ხარისხის დაზუსტება და სხვა.

გამოცდის დროს ავტომობილები ბუქსირით გაჰყავდათ და უშვებდნენ დაქანებულ გზაზე. სიმძიმის ძალის მოქმედებით, ისინი, მართალია, წინ მიექანებიან, მაგრამ ყველა ეს ხელოვნური ცდა საშუალებას იძლევა მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიო მიზანს. ფირმები ცდილობენ-გამოცდა მოაწყონ ორ ეტაპად. ჯერ სწავლობენ ძარის მოქმედებას ხტენდებზე და კატაპულტებზე. სახლოო ეტაპზე იღებენ ნამდვილ მანქანას, ხოლო სალონში სვამენ მანეკენებს. დარტყმის დროს ხელსაწყოები აღნიშნავენ „დაშავებას“, მოგლეჯილი დეტალების მოძრაობის ტრაექტორიას.

ყველაზე ადვილია კედელზე დარტყმის იმიტაციის მოწყობა. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ მოხალოდნელია სხვა ავტომობილთან შეჯახება, რომელიც დიდი სიჩქარით მოექანება ჩვენკენ, ან დგას გზის პირას? დიდი სისწრაფით მიმავალი უმძღოლო ავტომანქანა ხომ ხაშია. აქ საჭიროა განსაკუთრებული სიზუსტე, და იძულებული ვართ რისკი გავწიოთ.

საინტერესო ექსპერიმენტი მოეწყო 1952 წლის 6 აგვისტოს. პორტსმუტის აეროდრომის საფრენ ბილიკზე გამოიყვანეს „კაიზერ ვირჯინია“. მანქანის საჭეს უჯდა სპეციალურად ნავარჯიშევი ადამიანი. მან „კაიზერი“ საათში 96 კილომეტრ სიჩქარემდე გააქანა და როცა მანქანამდე, რომელსაც უნდა დასჯახებოდა, 180 მეტრი დარჩა, ნიშანი მისცა. ამასობაში მას დაეწია უფრო სწრაფი და კარგი მანეკენრების უნარის მქონე მანქანა, რომელზეც მოწყობილი იყო სახელურებიანი პლატფორმა. გამომცდელი სვლის დროს გადახტა პლატფორმაზე, ხოლო „კაიზერი“ სამიზნეს დაეჯახა.

ეს არ არის საუკეთესო მეთოდი, მაგრამ სწორედ ამით დავიწყეთ. ახლა კი მანქანები სამიზნეზე გაჰყავთ სხვა ავტომობილებიდან და ვერტმფრინავებიდან რადიომართვის საშუალებით. მაგრამ არც ეს გვაძლევს სრულ ინფორმაციას ცალკეული კვანძებისა და აგრეგატების ქცევის შესახებ, ამასთან ყოველთვის ნადგურდება ძვირადღირებული რადიოპარატურა. გარდა ამისა, უკანასკნელ წამს შეიძლება დაზიანდეს ავტომატური სისტემა, რომლის გაგებაც ვერტმფრინავის პულტთან მჯდომისათვის ძნელია.

ასეთ შემთხვევებში საიმედოა მართვის დისტანციური სისტემა, რომლის შექმნაზეც მუშაობენ ავტომანქანების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და ავტომოტორული ინსტიტუტის თანამშრომლები.

ავტომანქანების გამოცდა არ შეიძლება დავიუყვანოთ მხოლოდ მტკრევამდე. ეს რთული კომპლექსური ამოცანაა, და სანამ მანქანას კონვეიერს გადაცემდეთ, კონსტრუქტორი დარწმუნებული უნდა იყოს ყველა დეტალის საიმედოობაში. თვითეული ახალი მოდელის საექსპერიმენტო ნიმუში გადის საგამოცდო გადარბენას ათეულ ათასობით კილომეტრზე სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, სხვადასხვა ფენინან გზებზე. ასეთი ექსპერიმენტი გრძელდება თვეობით და ხანდახან წლობითაც. ეს ვადები რომ შეამციროონ, მანქანებს ცდიან სპეციალურ გზებზე.

სპეციალურ გზებზე მანქანის სიჩქარე დიდი როდია — 20-25 კილომეტრი, მაგრამ ვიბრაცია და აჩქარება იმდენად დიდია, რომ ხანგრძლივი გამოცდის დროს მძღოლი შეიძლება სერიოზულად დაავადდეს. მაგალითად კუჭის დაწვეთი. სამედიცინო გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ საგამოცდო გზებზე 20 წუთი მგზავრობის შემდეგ იზრდება მძღოლის სხეულის ტემპერატურა, ხშირდება პულსი, მატულობს არტერიული წნევა და სუნთქვის სიხშირე. საზღვარგარეთ გამომცდელის სამუშაო დღე, რომელიც ასეთ გზებზე მგზავრობს, გრძელდება ორ საათს. მაგრამ ესეც ძალზე დიდი დროა.

ასეთ გზებზე მანქანა კი არ მიდის, არამედ მიხტუნავს, აჭეთ-იქით ეხეთქება ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. დგება მომენტი, როცა ავტომობილი, თითქოს მულტიპლიკაციურ ფილმშიაო, ისე იწყებს სიარულს. თვითეული კვანძი, თვითეული დეტალი განიცდის ზღვრულ დატვირთვას.

უჭირს მანქანას, კიდევ

სიკო ფაშალიშვილი

ლირიკული რვეულიდან

ამ გულის ფეთქვა

სადღაც შორს დარჩა ამ გულის ფეთქვა,
სადღაც ჩაკეტეს ფიქრთა სარკმელი, —
ჯერ ხომ არ მითქვამს, რაც უნდა მეთქვა,
ჯერ ხომ კიდევ მაქვს ბევრი სათქმელი?
მწვანე ხეები რატომ ხმაბიან?
რათ იჩქარიან ოქროს დღეები, —
გულში ხომ კიდევ სიყრმის ხმებია
და სიჭაბუკის სამოთხეები?
კარებსა ვკეტავ, ვრაზავ ურდულებს,
გადავითვალე ბაღჩის მესრები
და დღენიადაგ ბედთან ვჩურჩულებ:
„რას ჩქარობ? ხვალეს ხომ მოესწრები?“

ჩემი მაჩხაანი

მაჩხაანი ჩემი ალმზრდელი სოფელია, მასზე ბევრი ლექსი მაქვს დაწერილი, მაგრამ ზოგჯერ მაინც გამიგონია სამდურავი, თითქოს ვივიწყებდე მშობლიურ სოფელს.

„ძმობელ მაჩხაანს მე არ ვივიწყებ,
სადაც დაარწეს ჩემი აკვანი,
სადაც სიცოცხლე ლექსებით ვიწყე
და ხალხის აზრებს ვეცი თაყვანი.
სადაც მოვწყვიტე პირველი ია,
ნამჯის გიდელით ვიარე ტყეში,
მეხრის შავი დღე გამომიცდია,
შიში მიგრძვნია ყაჩაღის თქეშში
„ანის“ და „ბანის“ ძიების წყურვილით
დიდ გზას დავადექ უზარმაზარ ფეხებს,
ქვიყნები მოვვლე ნატვრით, სურვილით
და ბრძოლით ვპოვე, რაცა მწყუროდა.
სადაც დედ-მამის ფერფლი და მტვერი
ადგილის მიწას შეერთებია,
არ დავივიწყებ, ეტირი თუ ვმღერი,
ის მადლი მუდამ გულში მნთებია!

ღელის გული

ასჯერ დამლოცა
სამშობლომ
ბედნიერების
ნატვრითა, —
მისმა სიტყვებმა,
სახოფლომ,
მე სიყვარულით
დამტვირთა,
ამ ლოცვას გავეთავადე,
მკერდს რომ მიკრავდა
მისანი,
ჩემს მიწას ყური დავადე
და ღელის გული ვიცანი.

სასჯელი კაცისა

ღლეს ყავარჯენით დავდივარ,
გუშინ კი ვდევდი ქუჩაკეტებს,
ალმართებს ძნელად ავდივარ,
გაჩენას ვწყევლი ყურს იქეთ.
ვაი შენ, ბედო ტიალო,
რა მჭონდა მსგავსი სახდომი?
მიყვარდა ორომტრიალი,
ნაბდებზე გადასახტომი.
მითქვამს და ვიტყვი ასჯერაც,
სათქმელი ამიწონია:
ჩანს, რომ შენდს, ჩემთვის
სასჯელად,
სიბერე მოუგონია!

ნახეთ ეკრანებზე

საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქკინოგაკეთრავება და საქართველოს კინოფიკაციის სამმართველო აპრილში რესპუბლიკის კინოთეატრებში აწყობს ვ. ი. ლენინის დაბადების 97 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმების ჩვენებას დევიზით „ყველა ცოცხალზე ცოცხალი“.

ნაჩვენები იქნება კინოფილმები: „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი პოლონეთში“, „თოფიანი კაცი“, „რევოლუციის სახელით“, „პირველი გასტილია“, „დედის ერთგულება“, „დედის გული“, „პირველი მოგზელი“, „ერთ ცთომილზე“, „ლურჯი რვეული“.

კინოთეატრ „რუსთაველში“ 10-დან 15 აპრილამდე მოეწყობა უკრაინისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კინოფესტივალი.

კონკურსზე წარმოდგენილია მხატვრული, სრულმეტრაჟიანი ფილმები: „ორი წელი უფსკრულის პირას“, „მათ მხოლოდ სახით იცნობდნენ“ (უკრაინის სსრ), „ცხოვრება კარბი რამ არის, ძმაო“, „შაპტუხა“ (აზერბაიჯანის სსრ), „გამარჯობა, ეს მე ვარ“, „საბანგეგო დავალება“ (სომხეთის სსრ), „შეხვედრა წარსულთან“, „მაცი ხვიტია“ (საქართველოს სსრ) და მოკლემეტრაჟიანი მულტიპლიკაციური, სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმები.

კონკურსს გარეშე ნაჩვენები იქნება ფილმები „სასოლების ნაპირი“ და „ყველაზან არის ცა“.

სურათებზე: კადრები კინოფილმებიდან „ლენინი პოლონეთში“ და „ორი წელი უფსკრულის პირას“ (მარჯვნივ).

გუშინდელი ფოსტიდან

△ **თელავი.** თეთრ წყლებში მნახველის თვალს იტაცებს თოვლით დაფარული მთები დამიდგრები. ამტომაც არის, რომ იგი ბევრ სპორტის მოყვარულს იზიდავს და მას „მეორე ბაკურიანი“ უწოდეს.

აქ ამ მოკლე ხანში აშენდა და გაიხსნა საფოსტო განყოფილება. სოფლის მშრომელები ყოველ დღე ახალ გაზეთებსა და ჟურნალებს იღებენ.

ნ. აფციაური.

△ **ენგურაკაშხალმშენ ნ ი ს** დაბა ჯვარის მუშათა კლუბში შეიქმნა ქართული და რუსული ციკვებისა და სიმღერების ანსამბლი. კოლექტივმა უკვე რამდენიმე კონცერტი გამართა ზუგდიდსა და ჯვარში.

ზ. ფიფია.

△ **ახმეტა.** სოფელ მატანში ფოსტალიონს თამარ სარქისიანშვილს ყველა ემადლიერება. ამას წინათ, როცა სარქისიანშვილი ჟურნალ-გაზეთებს არიგებდა, გზაში იპოვნა საფულე, რომელშიც 195 მანეთი ფული აღმოჩნდა. ფოსტალიონმა ფულის პატრონი ლ. მექუდიშვილი მონახა და თანხა უკლებლივ ჩააბარა.

გ. ტერტერაშვილი.

△ **ქობულეთი.** ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეში ფიცრული სკოლა იყო. იგი აღარ შეესაბამებოდა სკოლის თანამედროვე მოთხოვნებს.

კოლმეურნეებმა დააჯამეს გასული წლის შედეგები. აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს ააგონ სკოლის კაპიტალური შენობა.

მშენებლობას უკვე ჩაეყარა საფუძველი.

მ. მარიამიძე.

სამთა მატჩ-ტურნირი

ტალინი. გრძელდება მატჩ-ტურნირი ჭადრაკში ტუნისის საზონათაშორისო ტურნირის საგზურისათვის.

პირველი წრის ფინიშთან დაწინაურების შემდეგ მეორე ნახევრის სტარტზე ვ. კორჩნოი ოდვილად მიაღწია ყაიმს მ. ტაიმანოვთან, შეაგროვა ორი ქულა და გაინაღდა საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება.

ახლა ბრძოლა მიმდინარეობს მ. ტაიმანოვსა და ა. გიპსლისს შორის ერთი საგზურისათვის.

მეგოგროგის თასზე

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა დიდი საერთაშორისო ასპარეზობა ძალოსნობაში. ჩვენს სტუმრები არიან მსოფლიოს უძლიერესი შტანგისტები — ჩემპიონები, რეკორდსმენები.

მჩატე წონაში წარმატებით გამოვიდა საბჭოთა ძალოსანი ბ. ჩეტინი. მან სამჭიდში 352.5 კილოგრამი მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ირანელი მ. ნასირი.

ქვემსუბუქ წონაში ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის შანიძისა და ანდრიანოვს შორის. აქ გამარჯვება ხვდა შანიძეს, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 375,5 კილოგრამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ბულგარელი იანკოვი. (ანდრიანოვის შედეგი არ ჩაითვალა, რადგან ყოველი ქვეყნის მხოლოდ ერთ წარმომადგენელს შეუძლია მოიპოვოს საპრიზო ადგილი).

აღსანიშნავია, რომ შანიძემ აკვრაში აჩვენა 150 კილოგრამი და ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა.

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები. პირველობას გაითამაშებენ სამი წონითი კატეგორიის შტანგისტები.

ლენინაკარი
ბ. ივკოვი

სარაევოს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურიღა დარჩა.

უკანასკნელი ხუთი ტური ბრწყინვალედ ჩაატარა ივგოსლავმა გროსმაისტერმა ბ. ივკოვმა, 5 შესაძლებლიდან 4,5 ქულა შეაგროვა და 10 ქულით სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს. ლიდერს კვალდაკვალ მისდევენ სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. ზატენი და ვ. სავონი, მათ ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა აქვთ.

რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში

ფაალტეგოში გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში ვაჟთა შორის.

გუშინ გათამაშდა მეშვიდე ტური. ჯინჭიხაშვილმა დაამარცხა ლომაია. ბლაგიძე-ბერაძის, კალატოზიშვილი - გიორგაძისა და ჩიქოვან-უბილავას პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები ვადაიდო.

7 ტურის შემდეგ ლიდერია კალატოზიშვილი, რომელსაც 5,5 ქულა აქვს. ჯინჭიხაშვილი 5 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება.

დღეს შედგება მერვე ტური.

უკანასკნელი წუთის სიგანული

„**დინამო**“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:1 (0:0). თბილისი. 7 აპრილი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ვ. ხოდინი (მინსკი).

„**დინამო**“ — ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია (ასათიანი), ნოდია, დათუნაშვილი; „**ტორპედო**“ — კავაზაშვილი, ანდრეიუკი, პახომოვი, სარაევი, ვორონინი, მარუშკო, შალიმოვი, სტრელცოვი (პაისი), ლენიოვი, ბრედნევი, მიხაილოვი.

ამ ორი კოლექტივის შეხვედრას თითქმის ყოველთვის ჩემპიონატის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩად თვლიან. წლების მანძილზე შეიქმნა კარგი ტრადიცია — მათ ბრძოლაში ვხედავთ შემტევ ფეხბურთს დახვეწილი ტექნიკით, შეუნელებელ ტემპს, გამარჯვების უჩვეულო წყურვილს.

მართალია, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდი ჯერ კიდევ როდია საუკეთესო ფორმაში, მაგრამ სტარტის სხვა მატჩებთან შედარებით გუშინდელი თამაში ბევრად უკეთესი იყო. დინამოელთა რიგებში ვიხილეთ **ცხოვრებოვი, ბ. სიჭინავა, ბარქაია.** გუნდმა ახალი განლაგება მიიღო, იგი უკეთ გამოიყურებოდა.

„დინამოსა“ და „ტორპედოს“ პაექრობას წინიელ ზოლად გასდევდა დინამოელთა ინიციატივიანი ბრძოლა. ტერიტორიულ უპირატესობას ერთვოდა ტექნიკურიც, სტუმართა კარი განუწყვეტელ საფრთხეში იყო. ყველა მომენტის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ 38-ე, 39-ე და მე-40 წუთზე თუ რა ხდებოდა „ტორპედოს“ კარის წინ ძნელი აღსაწერია. სტუმართა დაცვაში თავი ირია დაბნეულობამ, კაპიტანიც ცოდავდა. იყო მომენტი, როდესაც კარის წინ შექმნილ ორომტრიალში ორი დინამოელი წააქციეს, ერთ-ერთი ტორპედოელი ხელითაც კი შეეხო ბურთს, მაგრამ ამ არეულობაში ალბათ მსაჯმა ვერ შეამჩნია ეს დარღვევები.

არც მეორე ნახევარში შეცვლილა სურათი. მოედნის

საბრძოლო ფრე

„**ტორპედო**“ (ქუთაისი) — „**ლოკომოტივი**“ (მოსკოვი) 0:0. ქუთაისი. 7 აპრილი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ლ. სარქისოვი (სოჭი).

„**ტორპედო**“ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, წვერავა, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი (ზარია), ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე; „**ლოკომოტივი**“ — ფროლოვი, ბასალაევი, ოდდინოვი, ზაიცევი, ინოგამოვი, უსატრე, ორეშნიკოვი, დავიდოვი, შელუდკო, პეტროვი, კოროტკოვი.

სპორტზე წარმატებამ ქუთაისელებს საკუთარი ძალების რწმენა განუმტკიცა. ისინი გუშინდელ მატჩშიც მოქმედებდნენ კოლექტიურად, ინიციატივიანად. მართალია, მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ, მაგრამ მაყურებლებმა ნახეს შეუპოვარი ბრძოლა, ამიტომ შეხვედრის შედეგს სავსებით სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ საბრძოლო ფრე.

პირველი 20 წუთი ხასიათდებოდა გარდამავალი უპირატესობით, შემდეგ კი ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ. ტაიმის ბოლო წუთებში კი თამაში კვლავ გათანაბრდა.

მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. ტორპედოელთა იერიშს იერიში მოსდევდა. არავინ იფიქრებდა რომ 66-ე წუთზე ქუთაისელები გოლს არ იზიმებდნენ, იმდენად კარგად გაითამაშეს კომბინაცია, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმა ძელმა იხსნა. იყო მეორე შემთხვევა, კარის აღების უფრო რეალური შესაძლებლობა. ვეკუა გაიგზა წინ, რომელსაც არავინ უშლიდა ხელს. ყველა მოელოდა, რომ იგი თვითონ დარტყამდა, მაგრამ რატომღაც ბურთი პარტნიორს მიაწოდა და მოსკოველებმა უვნებელყვეს თავიანთი კარი.

ბოლო წუთებში ლოკომოტიველებმა სცადეს კონტრთამაშის შექმნა, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ფრე — 0:0.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს მასპინძლებმა 1:0.

შ. ჯავახაძე,
საკ. კორ.

გუშინ სტადიონებზე

სსრ კავშირის ჩემპიონს კიევის „დინამოს“ მეორე გასვლითი **შეხვედრა ჰქონდა, ამჯერად ერევანში ადგილობრივი „არარატის“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.**

გასული პირველობის ვერცხლის პრიზიორმა — დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივმა მეორე ტურის შეხვედრაც საკუთარ მოედანზე გამართა ლენინგრადის „ზენიტთან“. შეჯიბრების შედეგია 2:1 დონის როსტოველთა სასარგებლოდ.

ბაქოს „ნეფტიანიკი“ სტარტზე დამარცხების შემდეგ თამაშობდა ოდესის „ჩერნომორეცთან“ და გამარჯვება ანგარიშით 3:1.

მოსკოვის „სპარტაკთან“ გამარჯვების შემდეგ პირველობის დებიუტანტს — ლუგანსკის „ზარიას“ პაექრობა ჰქონდა დედაქალაქის დინამოელებთან. წარმატება მოსკოველებს ხვდათ 1:0.

დონეცკის „შახტიორი“, რომელმაც სტარტზე ორი ქულა მოიპოვა, ამჯერადაც საკუთარ მოედანზე თამაშობდა. მისი მეტოქე იყო მინსკის „დინამო“. **მატჩის შედეგია 4:1 მინსკელთა სასარგებლოდ.**

შეხვედრა ტაშკენტში ადგილობრივი „პახტაკორისა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 0:0.

ალმა-ატის „კაირატს“ ეწვია არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივი. **წარმატება არმიელებს ხვდათ, ანგარიშით 1:0.**

სპორტული ქრონიკა

□ 15 **აპრილს ჩეხოსლოვაკიაში** დაიწყება მსოფლიოს პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. ჩვენმა კალათბურთელებმა, რომლებიც ჩემპიონის უმაღლეს ტიტულს ატარებენ, უკვე დაამთავრეს შეკრება და მზად არიან გადამწყვეტი შეჯიბრებისათვის. პირველი მატჩი სსრ კავშირს ნაკრებს ექნება იუგოსლავიის გუნდთან, მეორე — ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებთან, მესამე — ავსტრალიის ნაკრებთან.

□ **სსრ კავშირის** მოკრიკეთა გუნდი ავსტრალიაში იმყოფება. პირველი მატჩი ჩვენმა მოკრიკეებმა გამართეს ამ ქვეყნის ერთ-ერთი შტატის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 10:0. მორიგ მატჩს საბჭოთა გუნდი გამართავს ავსტრალიის ნაკრებთან.

□ **უეფამ** დაამტკიცა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის და თასის მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩების კალენდარი. ჩემპიონთა თასზე „სელტიკი“ და „დუკლა“ ერომანული შეხვდებიან 12 და 26 აპრილს, „ინტერნაციონალე“ და ცსკა „ჩერვენო ზნამია“ 19 და 26 აპრილს; თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში „სლავია“ და „გლაზგო რეინჯერსი“ ითამაშებენ 19 აპრილსა და 3 მაისს, „მავარია“ და „სტანდარდი“ — 11 და 26 აპრილს.

ასპაზიას ტრაგიკული მუზა

ბერძენი მედეა ქართულ „მედეაში“

ბერძენი ტრაგიკოსი მსახიობი ქალის ასპაზია პაპატანასიუს დიდ ხელოვნებას ჩვენი მაყურებელი ამ რამდენიმე წლის წინათ გაეცნო, როცა თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულმა პირეოსის თეატრმა „მედეა“ და „ელექტრა“ წარმოადგინა. ახლა ასპაზია გამოდის ქართულ სპექტაკლში — რეჟისორ ა. ჩხარტიშვილის დადგმულ „მედეაში“. ვინც პირველ წარმოდგენას დაესწრო, დამეთანხმება, რომ ეს იყო თეატრის, საერთოდ ხელოვნების ჭეშმარიტი ზეიმი, რომელს მსგავსს, სამწუხაროდ, იშვიათად შეესწრებივართ.

საათნახევრის განმავლობაში მაყურებელი გაოგნებული, ზოგჯერ თავზარდაცემული შესცქეროდა მედეას ტრაგიკულ ტანჯვას, იმსჭვალებოდა ამ კოლხი ქალის უმძაფრესი ვნებისაგან მოგვრილი მღელვარებით.

ჩვენამდე მოულწეველი ერთი ტრაგედიის ფრაგმენტში ევრიპიდეს გმირი ამბობს: „შეიწყალენე მე, სიყვარული საშინელია, მას არ დაეჯერება. იგი ბატონობს ჩვენი ბუნების ცუდ მხარეზე...“ ევრიპიდე, ალბათ, აქ გულისხმობს გაღვიძებულ ინსტინქტებს, გონებას რომ აბნევენს, ადამიანს უკარგავს სიმშვიდესა და წონასწორობას.

პროლოგის შემდეგ სცენის სიღრმიდან მოისმის პაპატანასიუს გოდება. ეს ხმა უმალ ელექტრონივით უვლის მთელ დარბაზს, ყოველ ჩვენგანს შესძრავს სულის სიღრმემდე, ვინაიდან იგი ეხება ქვეცნობიერების იმ სიმებს, რითაც ჩვენი ინსტინქტებია მოქსოვილი. ამ პირველი მოთქმის შემდეგ ჩვენ მოწმენი ვხდებით მედეას მშფოთვარე ცხოვრების ყველაზე დაძაბული წუთებისა, როცა თვითეული მაგანი გმირის ტრაგიკული სიკვდილით ან ფიზიკური განადგურებით უნდა დასრულდეს. ერთგან ტრაგედიაში შექმნილია გრძნობა ზომიერებისა, რომლის გადალახვა ადამიანს საბედისწეროდ აუდგება. ასპაზიას ნერვული ენერგია, როლის განვითარების დინამიკა უმთავრეს ეპიზოდებში ასულია იმ ზღაპრულ დაძაბულობამდე, რომლის იქით იშლება ყოველგვარი ზღვარი ხელოვნებისა და თითქოს მედეაც და მსახიობიც ერთსა და იმავე დროს უფსკრულის პირას დგანან. მაგრამ სწორედ აქ დგება შინაგანი განთავისუფლების, განტვირთვის მომენტი, მომენტი დაშვებისა, რომელიც წამიერად ანელებს ტრაგიკულ დაძაბულობას, რათა მომდევნო ეპიზოდში უფრო თავბრუდამხვევ სიმაღლემდე აიდეს.

სრულიადაც არ არის საჭირო ბერძნული ენის ცოდნა, რომ გაიგო და განიცადო ასპაზიას ხელოვნება. იგი ლაპარაკობს გრძნობებისა და პლასტიკის იმ ენით, რომელიც ყველა ერის ადამიანისათვის გასაგებია. ჩვენ ვგრძნობთ არა მარტო ანტიკური ტრაგედიის სულს, ან ძველი პლასტიკური ხელოვნების მომხიბვლელობას, არამედ უდიდეს კულტურას, რომელიც მსახიობს მთელი არსებით შეუწოვია და თავის მეორე ბუნებად უქცევია. ამ ორლესი მას არა აქვს ერთი კუნთმინაციური მომენტი, ასეთი რამდენმეა. ყოველი მათგანი გადაჭდობია ურთიერთს და ქმნის ერთ მთლიან ტრაგიკულ სურათს.

ასპაზიას ქუსტი მოკვეთილი და ოლაპიდარულია, ზოგჯერ ერთობ ეხეწვიც, მაგრამ ყოველთვის ჰარმონიული. იგი ენდობა თავის ძლიერ ხმას, რომელსაც ადამიანის გრძნობების ყველა ნიუანსის გამოხატვა ძალუძს. ეს ხმა ხან ისე ყღერს, რომ გეგონებათ მგლოვიარე ქალების მთელი გუნდი გოდებს, ხან მოთქვამს ჩვენთვის დღემდე უცნობი ინსტრუმენტის ხმაზე და ხან კი ეშვება ისეთ ჩურჩულამდე, რომ ძარღვებში სისხლი გაეყინებათ. პაპატანასიუს მედეა შეპყრობილია დამანგრეველი — დიონისური სწყურვილი, იგი ყველაფერს სწვავს თავის გზაზე და მიზნისაკენ მარტო მიემართება. ეს თითქოს მოულოდნელად მოვარდნილი სტიქიური ძალაა, რომელიც თავის შემდეგ არაფერს ტოვებს ცოცხალს, მას არ სჭირდება მოკავშირე და სულის მეაიდუმლე — იგი მოსულა, რათა დაიცვას თავისი სიყვარული, რომელიც შეულახეს, დაიცვას თავისი ადამიანური სიამაყე, რომელიც ფეხქვეშ გათელეს. ასპაზია გვიჩვენებს ერთი გრძნობის — შურისგების გრძნობის განვითარებას, მაგრამ რამდენი სულიერი ტკივილი, ტანჯვა, აღმაფრენა და დაეცმა აქ! ეს გრძნობა თითქოს ყოველსმომცველია და იტევს ყველაფერს — ქალურ თავმოყვარეობას, შვილების სიყვარულს, ადამიანურ ძალას და სისუსტეს, მტკიცე ნებისყოფას და დამშლელ გაორებას. მედეას სულს ქაოსი დაუფლებია და ასპაზია წმენდს ამ ქაოსს, გვაჩვენებს გრძნობათა ბაღას და სიწმინდეს.

ჯერ ტრაგედია დაწყებული არც კია და მაყურებელი უკვე რაღაც გარდუვალის და საბედისწეროს მოახლოებას გრძნობს, თითქოს დარბაზი რაღაც უცნობმა, ჯერ განუცდელმა ძალამ შეაშფოთაო. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს არის მსახიობის დემონური ნიჭი, რომელსაც არ სჭირდება ძალდატანება სხვების მოსანუსხავად. იგი ბუნებრივად გამოპყოფს ბოსხიეებს, რომელიც ყველა სხვა გრძნობას დევნიან ჩვენგან, გვავიწყდება ყოველდღიური ჭირვარამი და განვიცდით მხოლოდ იმას, რასაც მსახიობი სწორედ ამ წამს განიცდის. მსახიობისა და მაყურებლის ასეთი ერთიანობა იშვიათია და იგი აუცილებელია იმ ტრაგიკული თანტანჯვისათვის; ურომლისოდაც ბერძნული ტრაგედია (და საერთოდ ტრაგედია) კარგავს თავის ძალას. ჩვენ აღარ ვაქცევთ ყურადღებას მსახიობის ტექნიკას (რომელიც ძალიან მაღალ დონეზეა), მის პლასტიკურობას და ქუსტის გამომხატველობას, შეგაქცევრით მხოლოდ მის სახეს, რომელიც ცრემლებს დაუფენია, სახეს, რომელიც მშვენიერია სწორედ განცდისა და შემოქმედებითი ექსტაზის მოუგვრიელობით შეგაქცევრით მის თვალებს, სადაც ზოგჯერ პირდაპირ ცხოველურ ტკივილს დაუსადგურებია, და ვუმეინთ მის ხმას, რომელიც ამ ზეუს ასე მახლობელი გამხდარა ჩვენთვის. მაყურებელი ვერ გრძნობს, რომ მის მეზობლად სხვა ვინმე ზის — იგი თამაშობს მხოლოდ ჩემთვის, მხოლოდ შენთვის. ჩვენ მარტონი ვართ მასთან ერთად და ორი ადამიანი ერთმანეთს უზიარებს თავისი სულის ყველაზე ძვირფას და სანუკვარ საიდუმლოს. ამავე დროს კი მთელი დარბაზი ერთი გრძნობით არის შეპყრობილი.

ყოველ მომენტში ასპაზიას მედეას თან სდევს საკუთარი სიმამრთლისა და სიყვარულისაგან მოგვრილი სიამაყე. მეფყეობისა და სისუსტის შემოტევებს იგი ადვილად იგერიებს, მაგრამ როცა უკანასკნელად ეთხოვება თავის შვილებს, აქ იგი ივიწყებს ყველაფერს იაზონსა და კრეონს, პირად შეურაცხყოფასა და მეუსაფრობას. ჩვენს წინ რჩება ქალი, დედა, რომელიც ყველა ქალის ტკივილს გამოხატავს. ტრაგედია მით უფრო მძაფრდება, რომ იგი შვილებს კი არ ეთხოვება, არამედ ჯერ კიდევ ცოცხლებს დასტირის, როგორც საკუთარი ხელით მოკლულებს... ტრაგიკული ზარი დროებით წყდება და დგება ზამიერი პაუზა, მაყურებელი ელის ახალ აფეთქებას, და მსახიობი უცებ იწყებს გამბით მოთქმა-გალობას, ლოვის სიმღერას, რომელიც თავზარდამცემ შთამბეჭდილებას ტოვებს.

ასპაზია პაპატანასიუს ტრაგიკულმა მუზამ გვიჩვენა ადამიანის სულის მღელვარების, ტანჯვის, განწირულობის თვალშეუდგამი სივრცე. ბოლო სცენაში იგი დასს განწმენდილი, მაგრამ უკვე არაამქვეყნიური — ერთობ დიდი მსხვერპლი მოითხოვა სამართლიანობის ძიებამ და ჩვენც, მედეას ტანჯვას რომ ვუერთდებით, დიდ მსახიობთან, დიდ ხელოვნებასთან შეხვედრით თითქოს განწმენდილნი ვგრძნობთ მარჯანიშვილის თეატრს, რომელის დასმა (ჭორომ, ცალკეულმა მსახიობებმა: დ. ჭიჭინაძემ, ნ. მიქელაძემ, ედ. მაღალაშვილმა, ტ. საყვარელიძემ, ი. ტრიპოლსკიმ, ლ. ცხვარაიშვილმა, ა. კობალაძემ) კარგად გაართვა თავი დიდი მსახიობის პარტნიორობას.

ნოდარ გურაბანიძე.

• • •

სურათზე: სცენა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლ „მედეადან“. მედეა — ასპაზია პაპატანასიუ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

150 წლის დეპუტატი

აზერბაიჯანის სოფელ ჩერეკენის უხუცესი მცხოვრები სასოფლო საბჭოს დეპუტატი 150 წლის შირინ გასანოვი არჩეულია სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

თანასოფლელები როდი მოტყუდნენ თავიანთ არჩევანში. შირინ გასანოვზე უკეთ ვინ იცის მეცხოველეობა? იგი ხომ ას წელზე მეტი ხანია ცხვარს აძოვებს მთებში. რა არ უნახავს თავისი შრომითი საუკუნის მანძილზე შირინბაბას! ერთ-ერთი პირველი შევიდა კოლმეურნეობაში და ცოტა ძალები როდი მოახმარა მას. და ახლა, როცა პენსიაზეა, შირინბაბა ალოობის დროს, როცა სოფელს მუშახელი აკლია, ეხმარება თანასოფლელებს. თითქმის ყველა კოლმეურნე მწყემსი მისი მოწაფეა.

— ესაკი ხელს როდი უშლის მუშაობას, — თქვა სესიაზე შირინ გასანოვმა. — ვეცდები გავამართლო ამბანაგების ნდობა.

„კოზმანის“ გამოქვაბულის შესწავლა

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). აქ ბევრი ძველი და უძველესი გამოქვაბულია. საქვეყნოდ ცნობილია დევის ხვრელის გამოქვაბული, სადაც პროფესორმა გ. ნიორაძემ პალეოლითის ადამიანის ნიშნებსა და იარაღებს მიაკვლია...

ფრიად საინტერესოა „კოზმანის“ გამოქვაბული სოფელ ბორითში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა ასლახან ბორითში მოაკლინა ექსპედიცია დოცენტ შ. ყიფიანის ხელმძღვანელობით

„კოზმანის“ გამოქვაბულის დათვალიერებისას ექსპედიციამ ბევრი რამ საინტერესო აღმოაჩინა. ექსპედიციის მეგზურები იყვნენ კოლმეურნე ზ. ფიქარიშვილი და მოსწავლე თ. ფიქარიშვილი.

გამოქვაბულის მეცნიერული შესწავლა ახლო ხანში დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობისმოყვარეთათვის

ფულს იცავს ელექტრონი

ლონდონში ერთმა დიდმა ფირმამ დაამზადა სპეციალური ვაგონი, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ფასეულობის — ოქროს, ვალუტის, ძვირფასი თვლების, ხელოვნების შედევრების გადასატანად. ეს ჯავშნიანი ვაგონი აღჭურვილია დაცვის რთული სისტემით, რომელშიც შედის ელექტრონული გამოსათვლელი მანქანა და რადარული დანადგარები.

„ელექტრულტვინიანი“ ჯავშნიანი ვაგონის შექმნა იაფი რადი დაჯდა. მაგრამ ბარჯები, როგორც ბიზნესმენები ვარაუდობენ, ასეცად ანაზღაურდება. ვაგონს მყიდველები ბევრი გამოუნდება. როგორც ჩანს, პირველ მყიდველთა შორის იქნება თვით ინგლისის ბანკი.

როგორც ცნობილია, 1963 წელს, „დიდი გაძარცვის“ დროს, ბანდიტთა ჯგუფმა საფოსტო ვაგონიდან მოიტაცა 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ამ გახმაურებული საქმის შემდეგ ინგლისის ბანკის დირექტორებმა შეიმუშავეს სასწრაფო ღონისძიებანი ფასეულობათა დასაცავად. ბანკირებმა ეშმაკური ხერხს მიმართეს. მათ გადაწყვიტეს ფული გადაეზიდათ ელექტრონულ ტვინიანი ვაგონით. ეს ფული ბანკის ერთ-ერთ ფილიალში ინახებოდა. ბანკირებმა ეს ფული ჯავშნიანი ვაგონით ერთ ადგილიდან მეორეში გადაიტანეს. ეს ოპერაცია ელექტრონულ ტვინს ერგო